

572  
1971

საქართველოს  
გერბი

1971 წლის იანვარი N12

# ბიჭა





## პაპარა ნაძვი

მერი ბოლვაძე

ზამთრის ერთ საღამოს ბაღის შუაგულში დიდი ტანწერწეკა ნაძვის ხე ლამაზად მორთეს და მოკაზმეს, ჯერ ფერად-ფერადი სათამაშოები ჩამოკიდეს, მერე ოქროსფერი და ვერცხლისფერი სირცხვილები აბლაბუდას ქსელივით გაუბ-გამოუბეს, საოცრად ააბრჭყვიალეს. დაინახეს ჩიტებმა და თვითონაც ზედ წამოსკუბდნენ.

- ახლა აღარც მოსცილდებიან.—ჩაიბუზღუნა წაბლის ხემ.
- ძალიან ლამაზად მორთეს.—ჩაიჩურჩულა ტირიფმა.
- მეც მინდა მორთვა!—თავი წამოყო სულ პაწია ნაძვის ხემ.
- ნეტავ, მე ჩემი ფოთლები მომცა,—ამოი-

11583



ნახატი რეპაზ სუხაიჩიძისა

ონხრა აკაციაშ,—ეს ზამთარი, სულ გაგვატიტვ-  
ლებს ხოლმე.  
— მეც მომართონ!—გაიმეორა ისევ პატარა  
ნაძემა ჟინიანად.  
— შენ მწვანე კაბა მაინც გაცვია და კიდეც  
ხმას იღებ?—გაუჯავრდა წიფელი.  
— ნუ უჯავრდები, ცოლო!—შეეცოდა პატა-

რა ნაძვი ცაცხვს.  
— მომართონ!—დაალო სატირლად პირი პატა-  
რა ნაძემა.  
ბზა მოეფრა:  
— აბა, რად გინდა მორთვა, ისედაც ძალზე  
ლამაზი ხარ.  
— არა ვარ ლამაზი!—გაპყვიროლა პატარა  
ნაძვი.  
— გაისად შენც მოგრთავენ,—ამშვიდებდა  
ბზა.  
— მე ახლა მინდააა!..  
ხეებს გული გაუწყალდათ:  
— კარგი, გაჩუმდი, როდემდე უნდა იტირო?!  
— მომართონ!..  
ჩამოიქროლა ზამთრის ცივმა სიომ და პა-  
ტარა ნაძვს ქოჩორში წამოჰკრა, გაჩერდით.  
— ნეტავ შემედლოს, მოვიდოდი და სულ შენ  
ჩამოგკიდებდი ამ ზიზილ-პიბილებს, — გაიცინა  
დედოფალივით მორთულ-მოკაზმულმა დიდმა  
ნაძვის ხემ,—მე ამას ჩემი მწვანე კაბა და თოვ-  
ლი მირჩევნია.  
— თოვლიო?  
— დიახ, თოვლი.  
სულ არ დაავიწყდათ ხეებს თოვლი?  
— ნეტავ მოვიდოდეს, ყველაზე მეტად ჩვენ  
გვარგებდა, ცოტა ჩავთბებოდით?!—ინატრეს ტი-  
ტველმა ხეებმა.—სად არის თორემ?!  
— როგორ თუ სად არის? აქა ვარ!—მოისმა  
ციდან ხმა.  
ხეები სიხარულით შეიშმუშნენ.  
პატარა ნაძვი გაინახა, თოვლი ჯერ არ ენახა,  
ის ხომ ამ გაზაფხულზე დაიბადა?! უცებ რაღაც  
ცივი და სველი დაეცა; აინედა და პაერში მო-  
რიალე თეთრი, ბუმბულივით მსუბუქი და ფრია-  
ლა ფთილები დაინახა; თეთრ უყუნწო ყვავი-  
ლებს ჰგავდნენ, ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ,  
რბილად ეცემოდნენ მიწაზე, რტოებზე...  
პატარა ნაძვს თავბრუ დაახვიეს, იმდენი დაე-  
სივნენ...  
დიდი ხეები ჩოჩქოლებდნენ...  
— თოვლი მოდის, თოვლი!..  
დილით ბალში პატარა გოგო-ბიჭები შემო-  
ცვივდნენ, ციყვივით დაიწყეს ხტუნვა. დარ-  
ბოდნენ, თოვლში კოტრიალობდნენ, ყვირილით  
გააყრუეს იქაურობა.  
— აი, ნამდვილი ახალი წელი, თოვლი მოვ-  
ვილოცა, მორთული ნაძვის ხეც გვაქვს!

მერე პატარა ნაძვის ხეც დაინახეს და სულ გადაავიწყდათ ყველაფერი:

— უი, რა პაწაწინაა, რა კოპწიაა, რა ლამაზიააა?! — შემოეხვივნენ! ახლოს, სულ ახლოს ჩაუცუცქდნენ, ლამის ცხვირები შეჰყვეს თოვლიან წიწვებში.

— მოდი, ცოტა სათამაშოები პატარა ნაძვზეც ჩამოგვიდოთ! — წამოიძახა ერთმა ბიჭუნამ.

— რად უნდა, ისედაც ლამაზია! — მხრებზე აიჩიეს დანარჩენებმა.

ბზამ ტოტი წაჰკრა პატარა ნაძვის.


— ხომ გაიგონე, რომ არ გჯეროდა?! — პატარა ნაძვს სახე გაუბრწყინდა.

„მართლაცდა, რად უნდა მორთვა; ისედაც ძალიან ლამაზი არის“...

# ნემსების ბალიში

გული ზუზბა

ნემსს ბალიში შეუკერა მისაბნევედ ბებომ, მზიამ ჰკითხა გაკვირვებით: — ნემსსაც აძინებო?!



ნახატი ზურაბ შორაჩიძისა



# ზამთარი

გზია ჩხაიანი

დაფარფატებს, დაქრის, დაფრენს ფიფქი ფიორ-ფიორა, ფითრის მარცვლებს ბებერ მსხალზე ჩიჩქნის ჩიტ-ჩიორა.



# მოყინულ ბილიკზე

ალექსანდრა გვაგაძე

ნახატები რეჟისორ სუსჰარიძისა



კვირა დღე იყო.  
ბიჭებმა ციგაობით გული იჯერეს და შინ აბირებდნენ წასვლას. კოტეს რალაც გაასხენდა და სანდროს გასძახა:

- მოდი აქ, რალაც მომაგონდა.
- რა?
- გინდა ვიცინოთ?
- მინდა!
- იცი, რა?—აი, იმ ბილიკზე ონკანიდან წყალი გადავუგდელთ. ბილიკი გაიყინება. მერე შინ შევიდეთ და ფანჯრიდან ვუცქირით მგზავრებს.

სანდრომ წარმოიღვინა, თუ როგორ მოაღეუნებენ ბრაგვანს და სიცილი აუტყდა. სანდროს კოტეც აჰყვა. ვითომ წაქცეული მგზავრები იყვნენ, თვღზე ყირამადა გადადიოდნენ და იცინოდნენ.

ონკანიდან წყალი თოვლქვეშ მირაკრაკებდა ხერვლში. კოტემ ამ ხერვლში ყინულის ნატები ჩაქედა და თოვლით მოტყვენა.  
 წყალმა ბილიკზე დაიწყო ღენა.  
 მაღე მზეც ჩავიდა. აცივდა. მოყინული ბილიკი წვრილმა ფიფქებმა დაფარეს...  
 ბიჭები ფანჯარასთან იდგნენ და სერის ეღოდნენ.  
 აი, გამოჩნდა ხელნათიანი შუახნის კაცი. ბილიკზე ორი ნაბიჯის გადაღმაც ვერ მოასწ-





რო და... ბახ!—მგზავრმა ხეჩანთა უნებურად  
შორს გაისროლა, თვითონ კი ყინულზე გაიშხ-  
ლართა.

ბიჭები ფანჯარასთან იდგნენ და სიცილით  
იგულეებოდნენ.

ახლა მეორემ მოადინა ბრაგვანი. ცოტა ხნის  
მერე—მესამემ...

ორშაბათ დილით კოტემ და სანდრომ ჩანთები  
ზურგზე მოიკიდეს და სკოლისაკენ გასწიეს.

წუხანდელი ხუმრობა დავიწყებოდათ და გაკვე-  
თილებზე საუბრობდნენ.

აი, ბილიკს ჩაირბენენ, ხიდზე გადავლენ და  
სკოლაც გამოჩნდება, მაგრამ როგორც კი მოყი-  
ნულ ბილიკზე შედგნენ, ჯერ სანდროს დაუცდა ფე-  
ხი, მერე კოტემაც დაიძახა—„ვაი ედგაო“, და  
ორივე ყინულზე გაიშხლართა!

ზურგჩანთები და წიგნები თოვდში ეყარნენ.  
სამედნეები კი დაღმართზე მიგორავდნენ...

# თოვს, თოვს

თოვს, თოვს, ბარდნის,  
უხარია ბარდის,  
სახე გაბადვრია,  
ფაფუკ თოვლში ღარბის.  
მოფარფათე ფიფქებს  
პეპლებივით იჭერს,  
საგუნდაოდ უხმოვს  
თანაუზნელ ბიჭებს.



## მეკვლე

ტურამ უთხრა მელიას:  
— ხვალ ახალი წელია,  
საქათმეში მეკვლედ მივალ,  
ვარიები მელიან.  
ჩაიცინა მელიამ:  
— ტურა გადაგვერია,  
ვარიებთან მეკვლედ მიდის,  
მათთან მისვლა ძნელია.  
საქათმესთან რომ მურა წეგს,  
ჩვენი დიდი მტერია.  
იქვე სახლის პატრონია,  
თოფი მოუღერია.  
ახალი წლის გათენება  
ტურას არ უწერია.

# ჩვენი ვასკი

პაპი ბელოვანი



აი, მოდის თავის ქნევით,  
მოდის ჩვენი ვაცი,  
დინჯი, ბრძენი და ჭალარა,  
როგორც ბერიკაცი.

მკლავისტოლა რქები აქვს და  
თეთრი გრუზა წვერი;  
სადაც კი ფეხს დააბიჯებს,  
ავარდება მტვერი.

ერთხელ იგი მგლებს გაექცა,  
გაიხიზნა მთაში.  
ერთადერთი ის გადარჩა  
ოცდაცამეტ თხაში:

ღამე იყო, ზამთრის პირი,  
მთაში უკვე თოვდა,  
მთაში, სადაც ზაფხულობით  
ვაცი ბალახს ძოვდა:

ვაცმა სადგომს მიაშურა,  
იქ არავინ დახვდა,  
სახურავზე შებაკუნდა  
საკვამურში ჩახტა.







მგელი უკან გამობრუნდა,  
ვაცი შიგნით დარჩა...  
მაისმა რომ კვლავ გაშალა  
მთაში მწვანე ფარჩა,

დაუბრუნდა მწყემსიც სადგომს,  
საღლა არის თივა!—  
დგას ამაყად ჩვენი ვაცი,  
არაფერი სტკივა.

თხები ისევ მოამრავლეს:  
თეთრი, ჭრელი, ბაცი...  
ისევ დადგა რაზმის თავში  
ჩვენი დიდი ვაცი.

ისევ ისე უკვიანია,  
ისევ ისე კობტა.  
როგორც ხედავთ, მისი საქმე  
ჟურნალშიაც მოხვდა!





## არგვეთის მთავრები

### დავით და კონსტანტინე მსეიძენი

დღეს არგვეთი ჰქვია ორ სოფელს; ერთია ზესტაფონთან, მეორე—სახსერესთან. ძველად არგვეთი ერქვა მთელ ზემოიქრეთს; წარმოადგენდა ცალკე სამთავროს და ჰყავდა თავისი მმართველი, მთავარი. არგვეთის სატახტო ქალაქი იყო ჩიხა (ის ადგილი, სადაც ახლა ქალაქი სახსერია).

VIII საუკუნეში, როდესაც საქართველოს მეორედ შემოესია არაბთა დიდძალი ლაშქარი მურვან ერუს მეთაურობით, არგვეთის მთავრები იყვნენ დავით და კონსტანტინე მსეიძენი.

მტერმა დაიპურო სამცხე, დაბანაკდა იქ და მეწინავე რაზმი არგვეთს შეუსია.

მარგველებმა დავითისა და კონსტანტინეს მეთაურობით მარბიელნი გაჟლიტეს.

გაცოფებული მურვან ერუ ახლა თვითონ დაიძ-

რა ურჩთა ჰკუთხე მოსაყვანად.

ამჯერად მტრის ურიცხვმა სწამ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი დამარცხა და მათი მამაცი მეთაურნი ცოცხლად იგდო სელში.

მურვან ერუს ბრძანებით დავითი და კონსტანტინე გათოკეს, კისერზე ლოდები ჩამოჰკიდეს და რიონში ჩაჭყარეს.

საღსამა გპირთა გვამები ნამძლევად ქუთაისის ახლოს, ერთი დანგრეული საედრის აკლდამაში დაკრძალა.

X საუკუნეში საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ დავითისა და კონსტანტინეს ზატოვისწყმად, იმ დანგრეული საედრის ადგილას ააგო შესანიშნავი ტაძარი—„მოწამეთა“ და შიგ დაასვენა წამებულთა ძვლები.

ნახატი ზურაბ კახანაძისა



## ჩემი ძაღლი

ამიან ჟიჟინაძე

ჩემი ძაღლი—ტოპი, სულ არ არის ავი.

გივის უყვებს იმიტომ, რომ გივი ჯაჯლანაა.

ქეთის უყვებს იმიტომ, რომ ქეთი ფეხაკრფით დადის.

ძია ვანტანგს უყვებს იმიტომ, რომ ძია ვანტანგი ძალიან მაღალი კაცია.

დედა ანეტას უყვებს იმიტომ. რომ დედა ანეტას ძაღლების ეშინია.

ფოსტადიონს უყვებს იმიტომ, რომ ფოსტადიონი გაზეთებს გვიკარგავს.

ციადას უყვებს იმიტომ, რომ ციადამ უმიზეზოდ იცის სიცილი.

თამრიკოს უყვებს იმიტომ, რომ თამრიკო მტირადაა.

თემო აბრაზებს ტოპს, დაუყვებს, აბა, რა იქნება!

ბელურებს იმიტომ უყვებს, რომ ბელურებთან თამაში უნდა. მე იმიტომ,—ყურადღება მომაქციეო.

გუშინ ჩვენს ეზოში არავინ არ იყო და ტოპი მაინც ყვებდა, იმიტომ, რომ მოიწყინა.

სულ არ არის ჩემი ტოპი ავი!

# ყინვა— საკვალე

ნიკოლოზ ნეკრასოვი

ეს განა ქარია ამტყდარი,  
ან წყარო მოხტის და წკარუნებს;  
ყინვაა—ნაჭები სარდალი—  
ზგერავს და ამოწმებს მამულებს.

ტყეებში ბილიკებს ამოწმებს:  
ქარბუქმა ხომ კარგად ჩათოვა!  
ნაპრადი ხომ არსად გამორჩა,  
ხარვეზი ხომ არსად დატოვა!

ხის წვერებს ხომ ათოვს ფაფუკად,  
ჩუქურთმა ხომ არის ბრწყინვალე!  
ხომ მაგრად გათოვა ქარბუქმა  
დიდი და პატარა მიდინარე!

მოდის და აბიჯებს მუხნარში  
გაყინულ თოვდ-ტყაპის ჭრილით,  
და იმის წვერსა და უღვაშში  
მზეს გააქვს ბრწყინვა და ბრჭყვიადი.

თარგმნა **ვიკიან ლუბანიძე**



ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვის  
დაბადების 150 წლისთავი





# ხარხარა მეფე

მზინ ხათაბერი

ზღაპარი

ნახატები ვახანან გულიაშვილისა

ერთ დიდ ქალაქში, ერთ დიდ ქუჩაზე ერთი დიდი სახლი იდგა, რომელიც ძალიან ჰგავდა სასახლეს. ჰოდა, ამ სასახლეში ცხოვრობდა ერთი დიდი მეფე. დიდი იმიტომ, რომ დიდი მუცელი ჰქონდა. ამ დიდ მეფეს ერთი დიდი უცნაურობა სჭირდა: სულ სიცილი და ხარხარი უნდოდა. ამის გამო, ვეზირებმა მას ჩუმად შეარქვეს ზედმეტი სახელი, მაგრამ ისე ძალიან ემინოდათ ვეზირებს ამ სახელის სასახლის გარეთ თქმისა, რომ მეც კი არ ვიცი, რა იყო იმ მეფის ზედმეტი სახელი.

ეს დიდი საიდუმლოება ვეზირებმა სიკვდილამდე შეინახეს. მე კი მგონია, რომ იმ მეფეს ხარხარა ერქვა.

ერთ მშვენიერ დღეს ხარხარა მეფეს საკმაოდ უცნაურმა სურვილმა მოუარა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, სიცილით უნდა მოკვ-

დეს. დაიბარა თავისი სამი ვეზირი, მისცა სამღლიანი ვადა და უბრძანა, ისეთი ამბავი მიამბეთ, რომ სიცილით მოკვდეს.

ვეზირები სავონებელში ჩავარდნენ. ორი ღლე-ღამე იფიქრეს, მაგრამ სასაცილო ვერაფერი მოიფიქრეს. ბოლოს, ერთმა თქვა: ძმებო, ასე მხოლოდ დროს ვკარგავთ. მოდი, ხალხში გავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ და იქნებ რაიმე სასაცილოს წავაწყდეთო. აღდგენ და ბაზარში წავიდნენ. ხედავენ, ერთი გლეხი ინდაურებს ჰყიდის.

ვეზირებმა ინდაურების არჩევა დაიწყეს და ხედავენ, რომ ინდაურები არ ინძრებიან.

— შენი ინდაურები დახოცილან. როგორ ბედავ, მკვლარი ინდაურების გაყიდვასო! — გაუწყინნენ გლეხს.

— არ დახოცილან, სძინავთო! — აუხსნა გლეხმა.

— როგორ თუ სძინავთო? — დანტერესდნენ ვეზირები.

— მთვრალები არიანო.

— ინდაურები და მთვრალები სად გავონილაო?!

— ამდენი ინდაურის წამოყვანას ამხელა გზაზე საქმე უნდა; ურემი მე არ გამაჩნია და სახედარი, მეც ავდექი და, არაყი დავაღვეინე, დავათვრე და მიინარევები უწვალებლად ჩამოვიყვანეო.

ვეზირებმა ბევრი იცინეს. გული რომ იჯერეს, ერთმა თქვა:



— ესეც სასაცილო ამბავი. თუ გაეცინება, ამაზე გაეცინებაო.

— არა,—თქვა მეორემ,—გაცინებით მართლაც გაეცინება, მაგრამ სიცილით მაინც არ მოკვდება. რახან ჩვენ არ დავიზოცეთ, ესე იგი, ეს არც ისე სასაცილოაო.

ვეზირებმა გზა განაგრძეს. ხედავენ, მოკლულ შეკრეკილთმიანი ქალი ღვას და ნაწნავს ჰყიდის.

— თმას რად ჰყიდიო?—ჰკითხეს.

— მაშ რა ვქნა, ჩემი ქმარი სულ იმას დამბახის, თმა გრძელი გაქვს და ჰქუა მოკლეო.

— მერე თმა რომ შეგიკრეკია, ვითომ ჰქუა დაგიგრძელდაო?

— თმა დამიმოკლდაო!—უბასუხა ქალმა.



ვეზირებს ამაზეც სიცილი აუტყდათ.

— ეს ამაზეი სასაცილოა!—თქვეს ბოლოს, მაგრამ მეფეს რომ ვუამბოთ, სიცილით არც ამაზე მოკვდებო.

ისევ განაგრძეს გზა. ხელავენ, ერთ ბიჭს ხელში გალია დაუჭერია.

— რა ღირს შენი გალიაო?—ჰკითხეს.

— არ ვყიდო, — უპასუხა ბიჭმა.

— რატომო?

— იმიტომ, რომ გალიაში ვერ ვეჭვებო.

— რომ შევტეო, რად გინდაო?

— როგორ თუ რად მინდა! დაეჯდები შიგ ჩიტვით, საჭმელი მე არ მომაკლდება და სასმელი, მარტო გალია რომ გავუყიდა, აღარც გალია მექნება და აღარც სასმელ-საჭმელის იმედიო.

— ესე იგი, ეგ გალია შენინად იყიდებაო?

— ჩემინად. ოღონდ შიგ როგორმე უნდა შევეტეო.

— გალია ვინ გააკეთაო?—ჰკითხეს ვეზირებმა.

— მე გააკეთეო!—გამოცოცხლდა ბიჭი.

— შე, კაცო, აგელო და უფრო დიდი გალია გაგეკეთებია, კიდევ შევეტეოდი და კიდევ გამოეტეოდიო.

— უი, ეგ სულ ველარ მოვიფიქრეო!—გაეხარდა ბიჭს და ახალი გალიის გასაკეთებლად მოჰპურტხლა.

ვეზირებმა იმდენი იცინეს, რომ სულ მიწაზე გორავდნენ. ბოლოს თქვეს: რახან ჩვენ არ დაეიხოცეთ, არც მეფე მოკვდებო.

განაგრძეს გზა. ღუქანში შევიდნენ, კარგად რომ შეზარხოშდნენ, მეფეც მიავიწყდათ და მისი დავალება: უტევ ერთ ვეზირს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ლუქმა სასულეში გადასცდა. რომ მოსულერიდა, მეგობრებმა ჰკითხეს—რა გაცივებდაო.

— ის სულელი გლეხი გამახსენდა,—უპასუხა ვეზირმა,—ახლა რომ დავფიქრი უფრო გამეცინა: რაც იმ ინდაურებზე არაყი დახარჯა, იმის ფასად ურემსაც დაიქირავებდა და სახელარსაცო.

ახლა მეორე ვეზირს აუტყდა სიცილი:

— გალიის მკეთებელი ბიჭი გამახსენდა! ვინ წაიყვანს იმ უბატრონოს, სტვენა ეხერხება თუ ფრენაო!

მესამე ვეზირმა თმაშეკრეპილი ქალი გაიხსენა:



— ალბათ მოჭრილ ნაწნავს რომელიმე ქუყამოკლე ქალს მიჰყიდის, რომ ქუყა სულ დაუმოკლოსო. სამივეს თავის „გონებახსენილობაზე“ ეცივებოდა. იმდენი იცინეს, რომ სკამებიდან ჩამოცვივდნენ და მაგიდის ქვეშ შეგორდნენ; თმა-წვერიც სულ დაიგლიჯეს. ბოლოს სამივე გაჩუმდა.

მედუქნემ რომ მაგიდის ქვეშ ნახა ვეზირები, იფიქრა მთვარალები არიან. დასძინებიათო და აღარ შეაწყუხა. თან ფიქრობდა: ნეტავ იმდენი რაზე იცინესო. დრო რომ გავიდა, მედუქნეს შეეშინდა: ვეზირების გალვინება სცადა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! სამივე სიცილით გაგულულიყო. მედუქნემ ყვირილი მორთო. მოკვივდა ხალხი. მათ შორის ინდაურის გამყიდველი გლეხი, მოკლეთმიანი ქალი და გალიის გამყიდველი ბიჭიც იყვნენ.

უცებ გლეხს სიცილი აუტყდა. რა გაცივებსო?—ჰკითხა ხალხმა.

— ჩემს ინდაურებსა ჰგვანან. არაყი დალივს და ველარ გაიღვიძესო.

ხალხს გულიანად გაეცინა.

მერე გალიის გამყიდველ ბიჭს აუტყდა სიცილი: მაგიდა გალია ჰგონებიათო და ჩემსავით შიგ შეძერომა მოუხდომებიათო.





მთელი ხალხი ხარხარებდა. მეფეს შეატყობინეს, შენი ვეზირები დუქანში ყრიან მკედრები და ხალხი სიცილით იქაუბებო. განრისხდა მეფე, ჩაჯდა ეტლში და დუქანს მიაღდა. ხედავს ხალხი მიწაზე გორავს სიცილით. რა გაცივებთო—იკითხა. ჩვენც არ ვიციო,—უპასუხეს მეფეს,—შენი ვეზირები სიცილით დაიხოცნენ და ამაზე ვიცინითო. მეფე ცნობისმოყვარეობამ სულ გადარია. საშინლად მოუნდა ვეზირების სიცილის მიზევი გავეგო. მერე გაახსენდა, რომ თვითონ დააფლა ვეზირებს, სასაცილო ამბავი მიამბეთო. გაახსენდა და იმასაც სიცილი აუფარდა. ყველა ერთად იცინოდა და მიწაზე წვებოდა—მეფეც და ხალხიც...

ისეთი ხმაური და ალიაქოთი იღვა, რომ მკედარი ვეზირებიც კი გაცოცხლდნენ. რას ხედავენ—მეფე სიცილით კვდებო! გაეხარდათ ვეზირებს და ისევ აუტყდათ სიცილი. ბოლოს მეფემ ველარ გაუძლო სიცილს და გაიგუდა. ახლა ამაზე იცინა ხალხმა, ვეზირები კი ისევ დაიხოცნენ. ამ ხმაურზე მეფე ისევ გაცოცხლდა და მკედარი ვეზირების დანახვაზე კვლავ ახარხარდა. მას შემდეგ ხან მეფე იგუდებო სიცილით და ისევ ცოცხლდებო ხან ვეზირები. ხალხიც იცინის, მაგრამ არ იგუდებო.

თმაშეკრეკილომა ქალომა კისკისი დაიწყო: წვერი სულ დაუგლეჯიათ, ალბათ ჩემი საკციელი ქუთუში დაუჯდათ და მე კი დამციონდნენო.






# ქ ს ზ უ ჯ ც ე ი

## მხაჭვარი მთიარისა ჟჳოიძე

ჩვენი ფაფუკკუდიანი,  
ხატაურა კატა,  
ღვას სარკის წინ ფუნჯით ხელში  
და თავის თავს ხატავს.

ერთი-ორი წუთის შემდეგ  
ველარ იცნო თავი,  
გაეთხუპნა თეთრი ცხვირი  
შავი საღებავით.



მხატვარმა ამ ნახატებს განგებ მოუნაცვლა ადგილები.  
აბა, სცადე და ნახატები შინაარსის მიხედვით დააწვეფე.  
მაშინ მიხვდები; თუ რა დემართათ ბიჭებს!



# გამოცანები

ჩვენს ბოთვერაზე პატარა,  
ფისუნიაზე დიდი,  
ქათმები უყვარს ძალიან  
ემმაკია და ფიდი.



ელექტროქედში რომ ჩამრთეს,  
მიხურდა გულის ფიცარი,  
გავატკიცინე შარვლი,  
დავხედე, ველარ ვიცანი!

ქეთევან მაჩაიძე


**შარლა**  
მელა ბლიაძე

ცომი აფხიკა ხაბაზმა  
რკინის პატარა ნიჩბით.  
იმ ნიჩბის სახეწოდება  
სულ ექვსე ბევრით ითქმის.

თუ ამოაკლებ თანხმოდანს,—  
ბოლოს კი არა,—თავში;  
ტკბილი ნაყოფის სახედა  
გადაიქცევა მაშინ.



შეადგინა თბილისის 85 საშ. სკოლის მოსწავლემ **გია თოთაძემ**.



**შავარი რედაქტორი მუხრან მახარაძისადმი**

სარედაქციო კოლეჯი: აშაშვი გიორგიშვილი, ლილეზა მარამ, ჯემალ ლომლა, ზურაბ ლომიძე, მამხალა მრეხალაშვილი, იორაბ მამხარაძე (პ/შ მღვათი), შალვა მახარაძე (საზ. რედაქტორი), მინი მახარაძე. საქ. აღმ. ც-ის დ. ე. ა. ლენის სახელობის შორ. პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურცლი. ულზე ნახტი მამაზ ხუციშვილისა. გამოცემის 44-ე წელი.

**ტექნოლოგიური ზ. რედაქტორი**

საქ. კ. ც-ის  
გამომცემლობა

Издательство შავარი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქციის—93-41-30, 93-98-15; ЦК КП Грузии პ/შ მღვათის — 93-10-32, 93-98-17; საზო. რედაქციის—93-98-18; განყოფ. — 93-98-13; საბჭოთაობის — 93-98-16. გადაცემა სასაბჭოთაო მ/IX-71 წ., ხელმოწერილია დისაბელოდ 27/X-71 წ., პირობის ზომა 80×90<sup>1/2</sup> მმ. ზნ. ფურც. 25, ტირაჟი 150.500. შეჯ. № 3188. „მთა“ № 12. ნა გრუზინსკო ეჟმე. ფასი 20 კობ.



76055

81074


აქიზაშვილი  
გერარდოვი



ნატურმოტი — ნახატი  
ლელა ხუნდაძისა, 5 წ. თბილისი.



ჩემი ცხენი—პლასტიკონი გაა  
დაშვილისა, 6 წ. თბილისი.



ციხე-კოშკი—ნახატი ნი-  
კო ნანობაშვილისა, 6 წ. თბი-  
ლისი.



სამთავისი—ნახატი გელა მარსა-  
შვილისა, 7 წ. თბილისი.

თამარ მეფე—ნახატი ჭე-  
თევან ტორაშელიძისა, 9 წ.  
ამბროლაურის რაიონი, სოფელი  
სხვიფა.